საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზღუდერი

ზღუდერი (ყოფ. ზორეთი), სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდინარეების ძამისა და ღვანანის (მტკვრის აუზი) შეერთების ადგილას. თემის ცენტრი (სოფლები: ზ., აბუხალო, არცევი, ბანი, ბატიური, გვერძინეთი, ელბაქიანთკარი, იმერხევი, კოდმანი, კოშკინეთი, მუხილეთი, ორთუბანი, სათერძე, სუქანაანთუბანი, ტყემლოვანა, ქვათეთრი, ყინწვისი, ძაძვისმონასტერი, წითელსოფელი, წიფლოვანა). ზ. დ. 770 მ, ქარელიდან 12 კმ. 283 მცხ. (2002). ზ. შუა საუკუნეების საქართველოში ერთ-ერთ გაცხოველებულ მაგისტრალზე მდებარეობდა. მის მახლობლად იყო ისეთი ცნობილი ძეგლები, როგორიცაა სამწევრისის ეკლესია და ციხე, მძოვრეთისა და ყინწვისის კომპლექსები, ძამის ციხე და სხვ., რ-თა უმრავლესობა ძლიერი ფეოდალების ფანასკერტელ-ციციშვილების კუთვნილება იყო. სოფელში, ერთმანეთის გვერდით შემონახულია 2 ეკლესიის ნანგრევი და გალავნის ნაშთი (ძეგლები ძლიერ დაზიანდა 1940 მიწისძვრის დროს). ერთი მათგანი – VI ს. მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია – ნაგებია დიდ-დიდი თლილი კვადრებით. სამხრ. კარის თავზე ღია ლუნეტი აქვს. V ს. განეკუთვნება მეორე ნაგებობის – მოზრდილი სამეკლესიიანი ბაზილიკის თავდაპირველი სამშენებლო ფენაც. იგი პირვანდელი სახით წარმოადგენდა სამნავიან ბაზილიკას, რ-საც ინტერიერში ორი წყვილი, გეგმით ჯვრისებრი სვეტები ჰქონდა (ამ ტიპის სვეტები აქვთ ისეთ ბაზილიკებს, როგორიცაა ბოლნისის სიონი, ურბნისის, ანჩისხატის ბაზილიკები, წილკნის ტაძარი). მშენებლობის შემდეგი ფენები, შესაბამისად, X–XI და XIII–XIV სს-ით თარიღდება. ნაგებია სუფთად გათლილი კვადრებით. სამხრ. შესასვლელს ვაზის სტილიზებული გამოსახულება ამშვენებს (XI ს.). 1984–85 ძეგლზე ჩატარდა გამწმენდი სამუშაოები.

ლიტ.: რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, «ქართული ხელოვნება», 1948, ტ.2; შ მ ე რ ლ ი ნ გ ი რ., ქართული

ხუროთმოძღვრული ორნამენტი, თბ., 1954.

თ. სანიკიძე

დ. სვანიძე